მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მაისი, 2021

ძირითადი ცვლილებები

- სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2021 წლის აპრილში რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 44.8 პროცენტი, ხოლო პირველი ოთხი თვის საშუალო წლიურმა ზრდამ შეადგინა 8.1 პროცენტი. ამავე დროს, წინა თვესთან ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 22.8 პროცენტი, ხოლო სეზონურად მოსწორებული თვიური ეკონომიკური ზრდა გაუტოლდა 15.5 პროცენტს;

- წლიურმა ინფლაციამ მაისში შეადგინა 7.7 პროცენტი, თუმცა სეზონურად მოსწორებული ანუალიზებული საბაზო ინფლაცია წინა თვესთან შედარებით გაუტოლდა 3.8 პროცენტს;

- აპრილში ექსპორტი გაიზარდა წლიურად 70 პროცენტით და იმპორტი გაიზარდა წლიურად 56.5 პროცენტით, რამაც გაზარდა სავაჭრო დეფიციტი 44.8 პროცენტით წლიურად და გაუტოლდა 371 მლნ აშშ დოლარს;

- აპრილის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 5.9 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 1.2 პროცენტით წინა თვესთან;

ეკონომიკურმა ზრდამ აპრილში შეადგინა 44.8 პროცენტი

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2021 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 44.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ოთხი თვის საშუალო მაჩვენებელი გაუტოლდა 8.1 პროცენტს.

- აპრილის მდგომარეობით, სეზონურად მოსწორებული ეკონომიკური ზრდა გაუტოლდა 15.5 პროცენტს. 2019 წლის აპრილთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 2020 წლის აპრილში გაუტოლდა 20.7 პროცენტს.

- 2021 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, სასტუმროები და რესტორნები, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა.

- კლების ტენდენცია დაფიქსირდა სამთომოპოვებითი მრეწველობის დარგში.

წყარო: საქსტატი, ავტორის გაანგარიშება

წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციებზე სუბსიდირების შეწყვეტის შემდეგ

მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ



ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია



ინფლაციის დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი, სებ, ავტორის გაანგარიშება

სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 44.8 პროცენტით

ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ



იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის დეკომპოზიცია



იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ



- აპრილში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 70 პროცენტით და გაუტოლდა 378.1 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად გაიზარდა 60.6 პროცენტით და გაუტოლდა 277.3 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად გაიზარდა 56.5 პროცენტით და გაუტოლდა 749.1 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად გაიზარდა 44.8 პროცენტით და გაუტოლდა 371 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წილმა შეადგინა 26.7 პროცენტი, ხოლო ნედლეულის ექსპორტმა - 41.1 პროცენტი.
- საინვესტიციო, სამომხმარებლო და შუალედური საქონლის იმპორტის წილმა შეადგინა 18.7, 17.3 და 21.6 პროცენტით შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, ავტორის გაანგარიშება

საერთაშორისო ვაჭრობა ხასიათდება სტაბილური დივერსიფიკაციით

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი 2021



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, აპრილი 2021



ექსპორტი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით, აპრილი 2021



იმპორტი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით, აპრილი 2021



- ექსპორტის ტოპ საქონელი:
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები: 105.3 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 27.9 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 38.8 მლნ აშშ დოლარი - 10.3 პროცენტი.
  - ფეროშენადნობები: 27 მლნ. აშშ დოლარი - 7.3 პროცენტი.

- იმპორტის ტოპ საქონელი:
  - ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 54.8 მლნ. აშშ დოლარი - მთელი იმპორტის 7.3 პროცენტი.
  - მსუბუქი ავტომობილები: 49.9 მლნ აშშ დოლარით - 6.7 პროცენტი.
  - სპილენძის მადნები და კონცენტრატები : 44.6 მლნ აშშ დოლარით - 6 პროცენტი.

- ექსპორტის ტოპ ქვეყნები:
  - ჩინეთი: 88.9 მლნ. აშშ დოლარი - 23.5 პროცენტი.
  - რუსეთი: 50.1 მლნ. აშშ დოლარი, 13.3 პროცენტი.
  - აზერბაიჯანი: 47.6 მლნ. აშშ დოლარი, 12.6 პროცენტი.

- იმპორტის ტოპ ქვეყნები:
  - თურქეთი: 146.8 მლნ. აშშ დოლარი - 19.6 პროცენტი.
  - რუსეთი: 98.1 მლნ. აშშ დოლარი - 12.8 პროცენტი.
  - უკრაინა: 47.6 მლნ. აშშ დოლარი - 6.4 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

აპრილში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა საბაზო ეფექტის გამო

ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი



ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, აპრილი 2021

ქვეყანა	ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი	ცვლილება, %წ/წ
ისრაელი	11193.3	11832.1%
რუსეთი	7747.8	334.7%
უკრაინა	6616.8	1155.7%
თურქეთი	6121.2	108.7%
ევროკავშირი + დიდი ბრიტანეთი	5078.6	1549.9%
აზერბაიჯანი	2170.3	270.6%
სხვა	10931.7	383.2%

- 2021 წლის აპრილში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 487.1 პროცენტით და 49.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული მაღალი ზრდა განპირობებულია 2020 წლის აპრილის დაბალი მაჩვენებლით (8.5 მლნ აშშ დოლარი).

- ამავე დროს, იანვართან შედარებით ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 381.3 პროცენტით, ხოლო სეზონურად მოსწორების შემთხვევაში, თვიური ზრდა უდრის 114.8 პროცენტს.

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

რეგიონში ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურების შედეგად იზრდება ფულადი გზავნილები

წმინდა ფულადი გზავნილები



წმინდა ფულადი გზავნილები, აპრილი 2021

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები	ცვლილება, %წ/წ	წილი, %
იტალია	31,311.8	136.8%	26.2%
რუსეთი	24,966	159.5%	22.2%
აშშ	24,618.1	156.3%	21.7%
საბერძნეთი	20,653.2	109.9%	15.7%
ისრაელი	15,161.1	124.1%	12.2%
სხვა	51,582.8	157.6%	45.7%

- 2021 წლის აპრილში წმინდა ფულადი გზავნილები 168.3 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც შეადგენს 144 პროცენტიან წლიურ ზრდას.
- გზავნილები გაიზარდა:
  - რუსეთიდან: 159.5 პროცენტი (22.2 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - იტალიიდან: 136.8 პროცენტი (26.2 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - აშშ-დან: 156.3 პროცენტი (21.7 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - საბერძნეთიდან: 109.9 პროცენტი (15.7 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - ისრაელიდან: 124.1 პროცენტი (12.2 პროცენტიანი წვლილი მთლიან ზრდაში).
  - ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა გზავნილები უკრაინიდან და აზერბაიჯანიდან.

წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით



წყარო: სებ

აპრილში რეალური ეფექტური გაცვლით კურსი წინა თვესთან შედარებით გაუფასურდა 1.2 პროცენტით

ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში

31 მაისი, 2021



შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას

	31 მაისი, 2021	30 მაი 2021 - 1 იან 2021	31 მაი 2021 - 1 იან 2020
ევრო	3.9922	-19.5%	-23.4%
აშშ დოლარი	3.2779	-12.6%	-18.5%
თურქული ლირა	0.3824	26.0%	32.2%
რუსული რუბლი	0.0446	3.5%	-13.8%
ნომინალური ეფექური გაცვლითი კურსი	109.82	-0.7%	-7.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (აპრილი, 2020)	106.55	1.5%	-5.9%

წყარო: სებ

იანვარ-მაისში საგადასახდო შემოსავლებმა 3.4 პროცენტით გადააჭარბა პროგნოზს

ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, მაისი 2021



ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2021 წლის გადასახადების იანვარ-მაისში საპროგნოზო მაჩვენებელი 4,644.4 მლნ ლარს შეადგენს, 2021 წლის იანვარ-მაისის ფაქტობრივი მაჩვენებელი დაგეგმილზე 3.4 პროცენტით მეტია, და შეადგენს 4,800.8 მლნ ლარს.
- 2021 წლის მაისში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 923 მლნ ლარი, რაც 4.1 პროცენტით მეტია დაგეგმილ მაჩვენებელზე - 886.5 მლნ ლარს.
- ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 8.8 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 49.9 პროცენტით.
- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა -338.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -573.2 მლნ ლარით.
- გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დღგ-დან მიღებულმა შემოსავლებმა: 27.4 პროცენტიანი კონტრიბუცია მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ფასიანი ქაღალდების პორტფელის სტრუქტურამ განიცადა მცირე ცვლილება

პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი



საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი



ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით



- 2021 წლის მაისში ჩატარდა მხოლოდ ერთი, 5 წლიანი ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების აუქციონი და გამოშვების მოცულობამ შეადგინა 35.875 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 9.393 პროცენტი შეადგინა.
- დაიფარა 100 მლნ ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები.
- 2021 წლის 31 მაისისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 28.89 პროცენტი ფორმირებული არის იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა დგება მომავალი 1 წლის განმავლობაში.
- გამოშვებულ 5 წლიანი ვადიანობის ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (აპრილი 2.10) შედარებით გაიზარდა და 2.51 შეადგინა.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ლარიზაციის მაჩვენებლები განაგრძობს ზრდას

სესხების ლარიზაცია





დეპოზიტების ლარიზაცია





- 2021 წლის 1 მაისის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 44.1 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 59.4 პროცენტი.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 28.6 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 36.9 პროცენტს უტოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 53.1 პროცენტს გაუტოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 23.4 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 37.6 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უტოლდება 44.2 პროცენტს უტოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 29 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სებ

ვლინდება სესხების წლიური ზრდის ტენდენცია

სესხების წლიური ზრდა



სესხების წლიური ზრდა



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, %წ/წ



- 2021 წლის 1 მაისის მდგომარეობით 2020 წელის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 12.2 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- კლების ტენდენციის შემდეგ იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა გაიზარდა 11.4 პროცენტამდე.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 13.3 პროცენტს შეადგენს.
- 2021 წლის 1 მაისის მდგომარეობით ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 23.6 პროცენტს გაუტოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 1.2 პროცენტს გაუტოლდა.
- 2021 წლის 30 აპრილის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 19 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 35.4, ხოლო იპოთეკური სესხები რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული 11.9 პროცენტით გაიზარდა.

წყარო: სებ

ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების ზრდა აჭარბებს უცხოური ვალუტის დეპოზიტების ზრდას

დეპოზიტების წლიური ზრდა



დეპოზიტების წლიური ზრდა



დეპოზიტების წლიური ზრდა



- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2021 წლის 1 მაისის 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუტოლდა 40 პროცენტს. შედარებით სტაბილურია უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა და იმავე პერიოდში 13 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 18 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურ ზრდაში მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეინიშნა და ამავე პერიოდში მისი მნიშვნელობა 28 პროცენტს გაუტოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიური ზრდა 4.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა აპრილთან შედარებით. 2021 წლის მაისის დასაწყისში 16.8 პროცენტი შეადგინა.
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 26.5 პროცენტს გაუტოლდა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთლიანი დეპოზიტების ზრდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდა ჩამორჩება აპრილის წლიურ ზრდას (7.7 პ.პ.-ით) და შეადგინა 19.4 პროცენტი.

წყარო: სებ

აპრილის ბოლოს რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა 1.0 პ.პ.-ით 8.5 პროცენტამდე

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2020 წლის 28 აპრილს რეფინანსირების განაკვეთის 1 პროცენტული პუნქტით გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.
- მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 9.50 პროცენტით განისაზღვრა.
- ეროვნული ბანკის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, 2021 წელს ინფლაცია საშუალოდ 6.5 პროცენტის ფარგლებში იქნება და შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელს ეტაპობრივად დაუახლოვდება.
- სებ-ის თანახმად, ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენციაზე, პანდემიით გამოწვეული გამოშვების შემცირების გამო პროდუქციაზე საშუალო დანახარჯების გაზრდაზე და ამავე დროს, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებულ დონეზე ხანგრძლივად შენარჩუნება ფასების ზრდაზე დამატებით წნეხს აჩენს.
- მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 23 ივნისს ჩატარდება.
- 2021 წლის აპრილის თვეში, ეროვნულმა ბანკმა მოახდინა 82.9 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა.

წყარო: სებ

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ვალუტით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით შემცირდა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე





- 2021 წლის 1 მაისის უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 9.3 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 9.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 2 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.3 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 8.8 პროცენტს შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 18.4 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 23.1 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.4 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 18.6 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.7 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2021 წლის აპრილის ბოლოს 13 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით - 7 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.3 პროცენტი.

წყარო: სებ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16
ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407
ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge

საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო